ცვლილებები თამაშის წესებში 2023/24

წესი 3. - მოთამაშეები

- დაზუსტება სათამაშო მოედანზე დამატებით პირ(ებ)თან დაკავშირებით, როდესაც გავიდა გოლი

წესი 6. - მატჩის სხვა ოფიციალური პირები

- სარეზერვო დამხმარე ასისტენტს (RAR) უფლება აქვს დაეხმაროს მსაჯს ისევე, როგორც მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს, რომლებიც მოედანზე არიან

წესი 7. - თამაშის ხანგრძლივობა

- ,,გოლის ზეიმისას“ დაკარგული დრო გახდება გასათვალისწინებელი იმ დროის დაკარგვის მიზეზთა სიაში, რომელსაც მსაჯი აანაზღაურებს

წესი 10. - მატჩის შედეგის განსაზღვრა

- ტერმინი ,,დარტყმები საჯარიმოდან“ შეიცვალოს ტერმინით ,,პენალტები“ (პენალტი)
- გარკვევა, რომ გუნდის ოფიციალური პირებისა და მოთამაშეების გაფრთხილებები არ არის გადატანილი პენალტების სერიაში

წესი 11. - თამაშგარე

- დაზუსტება, რათა განისაზღვროს ბურთზე ,,განზრახ თამაში“ და ბურთის ,,გადახრა“, როგორც აღწერილია ცირკულარულ წერილში 26 (2022 წლის ივლისი)

წესი 12. - წესების დარღვევა და უდისციპლინო საქციელი

- განსაზღვრა, რომ თუ მსაჯი დანიშნავს 11 მ დარტყმას დარღვევისათვის, როდესაც დამცველი გუნდის მოთამაშე იბრძვის ბურთის მოსაპოვებლად, ბარათი არ იქნება გამოყენებული, ასევე ყვითელი ბარათი არ უნდა იქნას გამოყენებული კარში მიმავალ ბურთზე ხელთ თამაშისას. (გარდა დაჭერისა, მოქაჩვისა, ბიძგისა, ბურთზე თამაშის შანსის არ არსებობისა - შეუძლებლობისა), იგივე სანქცია უნდა დაწესდეს ბურთზე თამაშის მცდელობისას, თუ შეტევა ჩერდება ან მოთამაშე ხელს უშლის პერსპექტიული შეტევის განვითარებას (SPA) - გაფრთხილების (ყვითელი) გარეშე, DOGSO-ოს შემთხვევაში - გაფრთხილება (ყვითელი) - წითელი ბარათის ნაცვლად
- განმარტება, რომ ტექნიკურ ზონაში მყოფი უფროსი მწვრთნელი არ შეიძლება დაისაჯოს ,,უცნობი'' მოთამაშის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია სათამაშო მოედანზე

წესი 14. - პენალტი

- განსაზღვრა, რომ მეკარე უნდა მოიქცეს თამაშისა და მოწინააღმდეგის პატივისცემით, ანუ არ გადაიტანოს უსამართლოდ მეტოქის ყურადღება

ვიდეო დამხმარე მსაჯის პროტოკოლი (VAR)

- დადასტურება იმისა, რომ VAR ,,LIGTH“ სისტემა არ შეიცავს გამეორების ოპერატორს (RO)

ყველა კანონის ცვლილების დეტალები

ქვემოთ მოცემულია ცვლილებები თამაშის წესებში 2023/24 წწ გამოცემისათვის. ყოველი ცვლილებისთვის, შესწორებული ან დამატებითი ფორმულირება მოცემულია წინა ფორმულირებასთან ერთად, რასაც საჭიროების შემთხვევაში მოყვება ცვლილებების განმარტება.

ძირითადი ცვლილებები ხაზგასმულია ყვითლად და ასევე ხაზგასმულია სარედაქციო ცვლილებები.

YC=ყვითელი ბარათი (გაფრთხილება); RC=წითელი ბარათი (გაძევება)

წესი 3. მოთამაშეები

9. გოლი დამატებით ადამიანთან ერთად სათამაშო მოედანზე

დამატებითი ტექსტი

თუ გოლის გატანის შემდეგ თამაშის განახლებამდე მსაჯი გაიგებს, რომ გოლის გატანისას სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი ადამიანი და იგი ხელს უშლიდა თამაშს

- მსაჯმა არ უნდა ჩათვალოს გოლი, თუ დამატებითი ადამიანი იყო:
- გოლის გამტანი გუნდის მოთამაშე, შემცვლელი, შეცვლილი, გაძევებული მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი; თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით ზედმეტი ადამიანის პოზიციიდან
- გარე აგენტი, რომელიც ერეოდა თამაშში. თამაში განახლდება სადაო ბურთით
- გოლი ითვლება, თუ დამატებითი ადამიანი იყო:
- გოლის გამშვები გუნდის მოთამაშე, შემცვლელი, შეცვლილი, გაძევებული ან გუნდის ოფიციალური პირი

- გარე აგენტი, რომელიც არ ერეოდა თამაშში

წესი 6. მატჩის სხვა ოფიციალური პირები

დამატებითი ტექსტი

მატჩზე შეიძლება დაინიშნონ მატჩის სხვა ოფიციალური პირები (მე-4 ოფიციალური, ორი დამატებითი ასისტენტი, არბიტრის სათადარიგო ასისტენტი, ვიდეო ასისტენტი (VAR) და (VAR)-ის ასისტენტი (AVAR) (...)

მსაჯი, მსაჯის ასისტენტი, მეოთხე მსაჯი, მსაჯის დამატებითი ასისტენტი და მსაჯის სარეზერვო ასისტენტი არიან ,,მოედანზე მყოფი'' ოფიციალური პირები. (...)

~~მსაჯის სარეზერვო ასისტენტის გამოკლებით~~ ,,მოედანზე მყოფი" სხვა სათადარიგო ასისტენტები დახმარებას უწევენ მსაჯს დარღვევების დაფიქსირებაში, რომელთა მკაფიო ხედვაც აქვთ

განმარტება

მნიშვნელოვნად გაიზარდა სარეზერვო, დამხმარე მსაჯების გამოყენება და შესაბამისად ლოგიკურია, რომ მათ შეეძლოთ მსაჯისათვის ისეთივე დახმარების გაწევა, როგორიც ,,მოედანზე მყოფ" სხვა ოფიციალურ პირებს შეუძლიათ

წესი 7. მატჩის ხანგრძლივობა

3. დაკარგული დროის ანაზღაურება

შესწორებული ტექსტი

მსაჯმა უნდა აანაზღაუროს შესაბამის ტაიმში დაკარგული დროის მინიმუმი

- შეცვლები
- (.....)
- <u>გოლის აღნიშვნა</u>
- ნებისმიერი სხვა მიზეზი. მათ შორის თამაშის განახლებისას მნიშვნელოვანი შეფერხება (მაგ. გატანილი გოლის ზეიმი, <u>გარე აგენტის ჩარევა)</u>

  განმარტება

  გოლების აღნიშვნა ამიერიდან ცალკე იქნება ჩამოთვლილი, რათა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეს ხშირად იწვევს დროის დაკარგვას, რისთვისაც მსაჯი დაამატებს შესაბამის დროს

წესი 10. მატჩის შედეგის განსაზღვრა

2. გამარჯვებული გუნდი

შესწორებული ტექსტი

(...)

როდესაც რეგლამენტი მოითხოვს გამარჯვებული გუნდის გამოვლენას ფრე მატჩის შემდეგ (...)

გამარჯვებული გუნდის დასადგენად ნებადართული პროცედურებია:

- სტუმრად გატანილი გოლის წესი
- დამატებითი დროის ორი თანაბარი პერიოდი, თითო არა უმეტეს 15 წუთისა
- ~~დარტყმები საჯარიმოდან,~~ (პენალტები) <u>პენალტების სერია</u>

შეიძლება გამოყენებული იქნას ზემო აღნიშნული პროცედურების კომბინაცია

3. ~~დარტყმები საჯარიმოდან პენალტები~~ <u>(პენალტების სერია)</u>
~~დარტყმები საჯარიმოდან პენალტები~~ <u>(პენალტების სერია)</u> ინიშნება თამაშის დამთავრების შემდეგ (...). მატჩის ძირითად დროში გაცემული გაფრთხილებები მოთამაშეებს და გუნდის ოფიციალური პირებს <u>პენალტების სერიისას</u> არ გადაჰყვებათ

პროცედურა

<u>პენალტების დარტყმის დაწყებამდე (პენალტების სერია)</u>

- (...)

<u>პენალტების სერიის მიმდინარეობისას</u>

- (...)

<u>ქვემოთ აღწერილი პირობების გათვალისწინებით ორივე გუნდი იღებს ხუთ-ხუთ დარტყმას</u>

- (...)

<u>პენალტების დარტყმა არ უნდა გადაიდოს მოთამაშის მიზეზით, რომელიც ტოვებს მოედანს</u>

<u>ცვლილებები და გაძევებები პენალტების სერიისას</u>

ტერმინის ,,დარტყმები პენალტების ნიშნულიდან“ ცვლილება ,,პენალტებზე (პენალტების სერია)'' ასევე ვრცელდება შემდეგზე:

- ინსტრუქციები დროებითი გაძევებისათვის (sin bins)

- წესი 2.2 - დეფექტური (დაზიანებული) ბურთის შეცვლა

- წესი 3.5 - დარღვევები და სანქციები

- წესი 5.3 - უფლებები და მოვალეობები

- წესი 12.3 - დისციპლინური პასუხისმგებლობა

- ლექსიკონი

- პრაქტიკული მითითებები მატჩის ოფიციალური პირებისათვის

განმარტება

- ტერმინი ,,დარტყმები საჯარიმოდან“ მოძველებულია და იშვიათად გამოიყენება. ადამიანების უმეტესობა ემხრობა ტერმინებს - ,,პენალტები“ ან ,, პენალტების სერია“
- განიმარტა, რომ გუნდის ოფიციალური პირების და მოთამაშეების გაფრთხილებები (ყვითელი ბარათები), პენალტებში (პენალტების სერია) გადატანილი არ არის

წესი 11. - თამაშგარე (პ. 94,95)

2. თამაშგარე დარღვევა

დამატებითი ტექსტი

(...)

თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე იღებს ბურთს ოპონენტისგან, რომელიც ,,განზრახ'' თამაშობს ბურთზე, მათ შორის ხელით გამიზნულად, არ ითვლება უპირატესობად, როდესაც ეს იყო სეივი (კარის გადარჩენა) მოწინააღმდეგის მხრიდან.

,,განზრახ“ თამაში (ხელით თამაშის გამოკლებით) არის, როდესაც მოთამაშეს აქვს ბურთის კონტროლის შესაძლებლობა:

- გადააწოდოს პასი პარტნიორს;
- დაეუფლოს ბურთს, ან
- მოიგერიოს იგი (მაგ. დაარტყას ფეხით ან ითამაშოს თავით);

თუ ბურთის მაკონტროლებელი მოთამაშის მიერ ბურთის დაუფლების მცდელობა არაზუსტი ან წარუმატებელია, ეს არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მოთამაშემ ,,შეგნებულად'' ითამაშა ბურთზე;

შემდეგი კრიტერიუმები უნდა იქნას გამოყენებული, როგორც საჭიროა ინდიკატორად იმისა, აკონტროლებდა თუ არა მოთამაშე ბურთს და შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოთამაშემ ,,შეგნებულად“ ითამაშა ბურთი;

- ბურთი მოდის შორიდან და მოთამაშე მას ხედავდა კარგად
- ბურთი არ მოძრაობდა სწრაფად

- ბურთის მიმართულება არ იყო მოულოდნელი
- მოთამაშეს ჰქონდა საკმარისი დრო მოეხდინა თავისი სხეულის მოძრაობის კოორდინაცია. ე.ი. მას არ ჭირდებოდა მოულოდნელი გაჭიმვა ან ახტომა და/ან სხვა მოძრაობა და ის არ იყო შეზღუდული
- მიწაზე მოძრავ ბურთზე თამაში უფრო ადვილია, ვიდრე ბურთზე ჰაერში

განმარტება

დამატებითი ფორმულირება განმარტავს მითითებებს, რომ განასხვავოს ,,განზრახ" ბურთზე თამაში და ბურთის ,,გადახრა/არეკვლა". მოთამაშე, რომელიც აშკარა თამაშგარე მდგომარეობაშია არ უნდა დაისაჯოს, თუ ბურთს იღებს ოპონენტის მიერ ,,განზრახ'' ბურთზე თამაშის შემდეგ. ცირკულარული წერილი N 26 (ივლისი 2022)

12. - წესების დარღვევა და უდისციპლინო საქციელი

3. დისციპლინური პასუხისმგებლობა

დამატებითი ტექსტი

(...)

გაფრთხილება არასპორტული საქციელისათვის

არსებობს სხვადასხვა გარემოებები, როდესაც მოთამაშე უნდა იყოს გაფრთხილებული არასპორტული საქციელისთვის. მათ შორის, თუ მოთამაშე:

- (...)
- ხელით თამაშობს ბურთზე, რათა ჩაშალოს ან შეაჩეროს პერსპექტიული შეტევა
- ჩაიდენს ნებისმიერ სხვა დარღვევას, რომელიც ხელს უშლის ან შეაჩერებს პერსპექტიულ შეტევას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას დარღვევისათვის, რომელიც იყო ბურთზე თამაშის მცდელობა ან ბურთისთვის ბრძოლა
- აკარგვინებს მეტოქეს აშკარა გოლის გატანის შესაძლებლობას (DOGSO) წესის დარღვევით, რომელიც იყო ბურთზე თამაშის მცდელობა ან ბურთისთვის ბრძოლა და მსაჯმა დანიშნა 11 მ დარტყმა
- (...)

  აშკარა გოლის გატანაში ხელის შეშლა (DOGSO)

  როცა მოთამაშე მოწინააღმდეგის მიმართ ჩაიდენს დარღვევას თავის საჯარიმო მოედანში, რითაც აკარგვინებს მეტოქეს აშკარა გოლის გატანის შესაძლებლობას და მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას, წესის დამრღვევი იქნება გაფრთხილებული (ყვითელი), თუ ადგილი ქონდა ბურთისთვის ბრძოლას ან ბურთზე თამაშის მცდელობას. ყველა სხვა ვითარებაში (მაგ. დაჭერა, მოქაჩვა, ხელის კვრა, ბიძგი, ბურთზე თამაშის არ არსებობა და სხვა), მოთამაშე უნდა იყოს მოედნიდან გაძევებული (წითელი).

განმარტება

ყოველთვის არ არის ნათელი, ქმედება იყო ბურთზე თამაშის მცდელობა თუ ბურთისათვის ბრძოლა (ან ორივე). იგივე პრინციპი უნდა მოქმედებდეს ბურთისთვის ბრძოლისას, როგორც ბურთზე თამაშის მცდელობისას. როდესაც მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას - (DOGSO). დამნაშავე გაძევებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა ჩადენილია ბურთის თამაშის შესაძლებლობის არ არსებობის გარეშე.

წესი 12. – წესების დარღვევა და უდისციპლინო საქციელი

3. დისციპლინური პასუხისმგებლობა

დამატებითი ტექსტი
(...)
გუნდის ოფიციალური პირები
როცა წესის დარღვევა ხდება ~~ტექნიკური ზონიდან (შემცვლელი, შეცვლილი, გაძევებული მოთამაშის ან გუნდის ოფიციალური პირის მიერ)~~ და დამრღვევი არ არის იდენტიფიცირებული, გუნდის მთავარი მწვრთნელი ტექნიკურ ზონაში მიიღებს სანქციას

განმარტება
დაზუსტება, რომ გუნდის უფროსი მწვრთნელი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ,,უცნობი დამნაშავის" მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელიც იმყოფება ტექნიკურ ზონაში, ანუ ეს არ ეხება ,,უცნობი მოთამაშის" მიერ ჩადენილ დანაშაულს სათამაშო მოედანზე.

წესი 14. – 11 მეტრიანი დარტყმა
1. პროცედურა

დამატებითი ტექსტი

(...)

დამცველი გუნდის მეკარე უნდა დარჩეს კარის ხაზზე, დამრტყმელის პირისპირ, კარის ძელებს შორის, ~~კარის ძელების, ხარიხის და კარის ბადეზე შეხების გარეშე,~~ სანამ არ მოხდება ბურთზე დარტყმა. <u>მეკარე არ უნდა მოიქცეს ისე, რომ გადაიტანოს მეტოქის ყურადღება, მაგ. გადადოს (დააყოვნოს) დარტყმის შესრულება ან შეეხოს კარის ძელს, ხარიხას ან კარის ბადეს</u>

განმარტება

გარკვევა, რომ მეკარე არ უნდა გამოხატავდეს უპატივცემლობას თამაშისა და მოწინააღმდეგის მიმართ, ანუ არ გადაიტანოს უსამართლოდ დარტყმის შემსრულებლის ყურადღება

მსაჯის ვიდეო ასისტენტის (VAR) პროტოკოლი

1. **პრაქტიკულობა**

შესწორებული ტექსტი

VAR-ის გამოყენება თამაშის დროს მოიცავს შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებს:

- VAR უყურებს თამაშს ვიდეო საოპერაციო ოთახში (VOR) ერთი ან მეტი ასისტენტის (AVAR) და გამეორების ოპერატორის (RO) დახმარებით
- კამერების რაოდენობის მიხედვით ~~(და სხვა მოსაზრებებით),~~ შეიძლება იყოს ერთზე მეტი AVAR და ერთი ან მეტი გამეორების ოპერატორი (RO)
- (...)

განმარტება

შესწორებული ფორმულირება ასახავს VAR ,,LIGTH" სისტემას, რომელიც არ ითვალისწინებს გამეორების ოპერატორს

ცვლილებები მოქმედებაშია 2023 წ. 1 ივლისიდან